განკარგულება:**g-81. 81231233**
თარიღი:**03/05/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N27

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან ქ. ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტის თანადაფინანსებისათვის თანხის გამოყოფაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოში განსახილველად წარმოადგინა ქ. ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტი ,,გარე სივრცე (სკოლის ტერიტორია) ტელეფონის გარეშე“ და მოითხოვა საკრებულოს თანხმობა პროექტის თანადაფინანსებისათვის ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ცაგერის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტის ,,გარე სივრცე (სკოლის ტერიტორია) ტელეფონის გარეშე“ თანადაფინანსებისათვის ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.ცაგერი რუსთაველის ქ N69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რეზო ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com